

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებისგან და ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგებისგან და საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან (შემდგომში „საწყისი ფინანსური ანგარიშგება“). წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე“ („ფასს“) კომპანიის გადასვლასთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, თანდართული საწყისი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-2 შენიშვნაში აღწერილი საფუძვლის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია, როგორ მოამზადა საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ ფასს-ის საფუძველზე, ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოლოდინით, ძალაში იქნება კომპანიის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული პაკეტის მომზადებისას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი სპეციალური დანიშნულების დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ყურადღებას მივაპყრობთ მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ის, თუ რატომ შეიძლება დასჭირდეს საწყისი ფინანსურ ანგარიშგებას კორექტირებები, ფასს-ის მიხედვით მომზადებული საბოლოო ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე. გარდა ამისა, გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ფასს-ის მიხედვით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების ფასს-ის მიხედვით სამართლიანად ასახვა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტით, რომელიც შეიცავს შედარებად ფინანსურ ინფორმაციასა და განმარტებით შენიშვნებს. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საწყისი ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში მითითებული საფუძვლის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი საწყისი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, საწყისი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან, და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე საწყისი ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ საწყისი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 24 სექტემბერი

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 24 სექტემბერი

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება.....	1
საწყისი ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება	8
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-40

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი“

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი
შემოსავალი ოპერაციებიდან	4	17,621,069
საიჯარო შემოსავალი		18,200
საოპერაციო შემოსავალი		17,639,269
ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი	5	(3,020,992)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,277,717)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,366,787)
შრომითი დანახარჯები		(3,659,402)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		4,314,371
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	11	74,387
წმინდა საკურსო ზარალი		(159,262)
სხვა არასაოპერაციო მოგება	16.1	151,542
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(33,686)
დასაბეგრი მოგება		4,347,352
მოგების გადასახადის ხარჯი	7	–
წლის მოგება		4,347,352
წლის სხვა სრული შემოსავალი		–
საკურსო სხვაობები ვალუტის კონვერტაციისას		(173,574)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა		4,173,778

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2018 წლის 24 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლი

ფინანსური დირექტორი
ამირან წილოსანი


შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“


სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი
შემოსავალი ოპერაციებიდან	4	17,621,069
საიჯარო შემოსავალი		18,200
საოპერაციო შემოსავალი		17,639,269
ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი	5	(3,020,992)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,277,717)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,366,787)
შრომითი დანახარჯები		(3,659,402)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		4,314,371
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	11	74,387
წმინდა საკურსო ზარალი		(159,262)
სხვა არასაოპერაციო მოგება	16.1	151,542
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(33,686)
დასაბეგრი მოგება		4,347,352
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-
წლის მოგება		4,347,352
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
საკურსო სხვაობები ვალუტის კონვერტაციისას		(173,574)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა		4,173,778

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2018 წლის 24 სექტემბერს:


გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლაშვილი


ფინანსური დირექტორი
ამირან წილოსანი

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი, შენიშვნა 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
		ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	17,862,355	20,157,243
არამატერიალური აქტივები		611,995	503,287
		18,474,350	20,660,530
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	1,074,397	1,182,701
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	1,148,180	1,348,920
გადახდილი ავანსები		569,360	450,181
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების			
გადასახადის გარდა	13	2,636,964	2,850,182
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	2,489,703	1,365,041
		7,918,604	7,197,025
სულ აქტივები		26,392,954	27,857,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	200	200
გაუნაწილებელი მოგება	12	13,334,214	8,986,862
საკურსო სხვაობის რეზერვი	12	(173,574)	–
		13,160,840	8,987,062
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება	17.1	3,314,658	3,172,490
		3,314,658	3,172,490
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	4,234,705	12,298,927
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება	17.1	1,166,171	1,538,693
მოგების გადასახადის დავალიანება		1,493,601	1,451,558
ანარიცხები	15	3,022,979	408,825
		9,917,456	15,698,003
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,392,954	27,857,555

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2018 წლის 24 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლი

ფინანსური დირექტორი
ამირან წილოსანი

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი“


ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წ. ლარი	1 იანვარი, 2017 წ. ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	17,862,355	20,157,243
არამატერიალური აქტივები		611,995	503,287
		18,474,350	20,660,530
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	1,074,397	1,182,701
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	1,148,180	1,348,920
გადახდილი ავანსები		569,360	450,181
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების	13	2,636,964	2,850,182
გადასახადის გარდა	11	2,489,703	1,365,041
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		7,918,604	7,197,025
		26,392,954	27,857,555
სულ აქტივები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	200	200
გაუნაწილებელი მოგება	12	13,334,214	8,986,862
საკურსო სხვაობის რეზერვი	12	(173,574)	-
		13,160,840	8,987,062
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება	17.1	3,314,658	3,172,490
		3,314,658	3,172,490
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	4,234,705	12,298,927
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება	17.1	1,166,171	1,538,693
მოგების გადასახადის დავალიანება		1,493,601	1,451,558
ანარიცხები	15	3,022,979	408,825
		9,917,456	15,698,003
		26,392,954	27,857,555
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2018 წლის 24 სექტემბერს:


გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლაშვილი


ფინანსური დირექტორი
ამირან წილოსანი

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საკუროს სხვაობის რეზერვი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	8,986,862	–	8,987,062
წლის მოგება	–	4,347,352	–	4,347,352
სხვა სრული შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	–	–	(173,574)	(173,574)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	13,334,214	(173,574)	13,160,840

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დასაბეგრი მოგება		4,347,352
<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	1,966,978
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		310,739
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი	16.1	(151,542)
დაკისრებული გადასახადებისთვის შექმნილი ანარიცხები	6	2,853,231
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	11	(74,387)
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი		128,565
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		9,380,936
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები</i>		
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		108,304
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(119,179)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	10	(603,080)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	13	213,218
ცვლილება საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში	17.1	(230,354)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	14	(8,201,826)
		(8,832,917)
გადახდილი მოგების გადასახადი		(6,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		542,019
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(423,438)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		997,241
არამატერიალური აქტივების შეძენა		(137,000)
მიღებული პროცენტი	11	74,387
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		511,190
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,053,209
ნაღდი ფული 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11	1,365,041
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		71,453
ნაღდი ფული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,489,703

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

- ▶ 2017 წლის განმავლობაში გადავადების პირობით შესყიდული ძირითადი საშუალებები შეადგენდა 137,604 ლარს.

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა 2007 წლის 29 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ზაქოს ქ. №11.

კომპანია ფლობს საკონტეინერო ტერმინალს და ბორანს საქართველოს საპორტო ქალაქ ბათუმში.

საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მომსახურება (International Container Terminal Services inc.) არის კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი და გლობალური საბოლოო მშობელი კომპანია. მშობელი კომპანია არის გლობალური მართვის კომპანია, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში და დარეგისტრირებულია ფილიპინების საფონდო ბირჟაზე,

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიღების ფარგლებში. საწყისი ფინანსური ანგარიშგებას კომპანია გამოიყენებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფასს-ის მიხედვით თავისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია ფასს-ზე გადავიდა.

კომპანიას მანამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით. რადგანაც კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდებისთვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, საწყისი ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან ფასს-ზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ფასს-ის საფუძველზე, ფასს (IFRS) 1-ის - „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაში იქნება კომპანიის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. კომპანიამ გამოიყენა ყველა ფასს-ი, რომლებიც ამ დროისთვის გამოშვებულია და, რამდენადაც ცნობილია, ძალაში დარჩება 2018 სააღრიცხვო წლისთვის. კომპანიამ არჩია ბასს (IAS) 39-ის „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“ გამოყენება, სანამ სავალდებულო გახდება ფასს (IFRS) 9 „*ფინანსური ინსტრუმენტები*“. ფასს 1-ის თანახმად, წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მოქმედ თითოეულ ფასს-ს.

კომპანიამ გამოიყენა ფასს (IFRS) 1-ით ნებადართული გამონაკლისი და ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის კუმულაციური საკურსო სხვაობა ჩათვალა ნულად.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საწყისი ფინანსური ანგარიშგება არ წამოადგენს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რადგან მასში არ არის შესული ზოგიერთი ძირითადი ანგარიშგება და შესადარისი ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად, იგი ფასს-ის მიხედვით სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ შესადარისი ფინანსური ინფორმაციის შემცველი სრული ფინანსური ანგარიშგებით.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) უცხოური ვალუტა

კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის სამუშაო ვალუტა აშშ დოლარია. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სამუშაო ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

(გ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს გადასცემს.

მრავალელემენტიანი ხელშეკრულებების დროს კომპანია თითოეულ მომსახურებას ცალკე აღნიშნავს, თუ მათი გამიჯვნა შესაძლებელია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ პრაის-ლისტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კომპანია კონტეინერების ჩატვირთვის და სხვა მომსახურებას უწევს თავის კლიენტებს.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.

მომსახურების გაწევა

კომპანია თავის კლიენტებს უწევს კონტეინერების ჩატვირთვის, შენახვის და სხვა მომსახურებას. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოიქმნება თითოეული გაწეული მომსახურებისთვის განსაზღვრული გასამრჯელოდან. ამ შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილებისთანავე.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი

ყველა იმ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელიც შედის დებიტორული დავალიანების კატეგორიაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ეს თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
საიჯარო უფლებები და გაუმჯობესებები	5-48 წელი
საპორტო დანადგარები და მოწყობილობები	5-25 წელი
სატრანსპორტო აღჭურვილობა	3-5 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	3-5 წელი
სხვადასხვა აღჭურვილობა	5 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ე) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და, საჭიროების შემთხვევაში, აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში აისახება წინასწარ გადახდილი გადასახადების ნაწილში, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება.

(ვ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარა ეწოდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება საიჯარო ვადაზე საიჯარო შემოსავლის ანალოგიურად. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

იჯარას, რომლის ფარგლებშიც კომპანია გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, ფინანსური იჯარა ეწოდება. მიღებული იჯარა გადანაწილდება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალსა და იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირებას შორის, რათა მიღწეული იქნეს უცვლელი საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება ფინანსური აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ შემდგომ კლასიფიკაციაზე:

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები, მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მოგვიანებით ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების, და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, ამას ემატება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სესხები და გადასახდელი ანგარიშები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „პირველი შემოსული პირველი გადის“ მეთოდის გამოყენებით.

(ი) არაფინანსური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება თითოეული აქტივისთვის ცალკე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთწლიანი ვადის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს მიეკუთვნება ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში და ბანკში. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთებისგან.

(ლ) ანარიცხვები

ანარიცხვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხვებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(მ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის.

ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და შესაბამისი ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება და მაქსიმალური ვადა ხუთი წელია.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(ნ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

2.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

კომპანია აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. ზოგადად, კომპანია არ ელის, რომ ფასს 9-ის მიღების მერე მას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება თავისი ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს კომპანია ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, კომპანია მოელოს, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

კომპანიამ გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12-თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. კომპანია გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. კომპანია არ მოელოს მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე. მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

(გ) ჰეჯირების აღრიცხვა

კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს ჰეჯირების ურთიერთობა, ამიტომ იგი არ მოელოს, რომ ფასს 9-ის გამოყენება მასზე რამე გავლენას მოახდენს.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან.

მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია გააგრძელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2016 წლის დეკემბერში)

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. საწარმოებმა ეს ცვლილებები მთლიანად რეტროსპექტულად უნდა გამოიყენონ.

ან საწარმოს შეუძლია ინტერპრეტაცია პერსპექტიულად გამოიყენოს ყველა აქტივისთვის, ხარჯისა და შემოსავლისთვის, რომლებიც აღიარებულია:

- (i) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას, ან
- (ii) წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც წარმოდგენილია შედარებადი ინფორმაციის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის ნაადრევი გამოყენება ნებადართულია და უნდა მოხდეს მისი გაცხადება. თუმცა, ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ჯგუფი არ მოელის, რომ ის რამე გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოცემულია სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც კომპანიაზე არ ვრცელდება:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „*აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის*“;
- ▶ ფასს (IFRS) 2 „*წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება*“ – ცვლილებები ფასს 2-ში;
- ▶ ფასს (IFRS) 17 „*სადაზღვევო ხელშეკრულებები*“;
- ▶ „*საინვესტიციო ქონების გადაცემა*“ – ცვლილებები ბასს 40-ში;

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს (ყოველწლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წლების ციკლი (გამოშვებული 2016 წლის დეკემბერში));
- ▶ ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“: – განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს;
- ▶ ფასს 9-ის (IFRS 9) „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-თან (IFRS 4) „სადაზღვევო კონტრაქტები“ ერთად - ცვლილებები ფასს 4-ში;
- ▶ ფაისკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“ და მისგან იჯარით აქვს აღებული მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომები, საბორნე ტერმინალი, გარკვეული მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა, ასევე 13.6 ჰექტარის მიწის ნაკვეთი. საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის აპრილში გაფორმდა 48 წლიანი ვადით, რომელიც 2055 წლის 30 ივნისს იწურება. კომპანიამ ამ ხელშეკრულების პირობების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი არ იყო გადაცემული კომპანიისთვის. შესაბამისად, კომპანიამ იჯარა საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად აღრიცხა (17.1 შენიშვნა).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

იჯარების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული განსჯა გავლენას ახდენს მათი აღრიცხვაზე და შეიძლება ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე არსებითად იმოქმედოს.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

დარიცხული გადასახადის ანარიცხები

ანარიცხების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება დამატებით დარიცხულ გადასახადებსა და ჯარიმებს. 2014 წლის 12 და 16 დეკემბერს კომპანიამ მიიღო საგადასახადო შემოწმების აქტები, რომლებითაც საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მას დააკისრა 2,867,198 ლარის (რაც მოგვიანებით შემცირდა 2,463,220 ლარამდე) ოდენობის დამატებითი გადასახადები და ჯარიმა 2008-2014 წლებისთვის.

საეჭვო დავალიანების რეზერვი

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 564,239 ლარი (2016 წ.: 577,598 ლარი) სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის ყველაზე ზუსტი შეფასებაა (მე-10 შენიშვნა).

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შემოსავალი

	2017 ლარი
კონტეინერის ჩატვირთვის ღირებულება	10,898,833
შემოსავალი შენახვის ღირებულებიდან	612,185
სხვა მომსახურება	6,110,051
სულ შემოსავალი	17,621,069

შემოსავალთან დაკავშირებული სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის მიერ აღიარებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია მხოლოდ სავაჭრო დებიტორული ანგარიშებით.

	31 დეკემბერი, 2017 წ. ლარი	1 იანვარი, 2017 წ. ლარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,148,180	1,348,920

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება.

5. ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი

	2017 ლარი
იჯარის ხარჯი (17.1 შენიშვნა)	1,682,881
საწვავის ხარჯები	507,237
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	534,811
კომუნალური ხარჯები	185,064
სხვა	110,999
სულ ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი	3,020,992

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 ლარი
დაკისრებული გადასახადებისთვის შექმნილი ანარიცხები (მე-15 შენიშვნა)	2,853,231
პროფესიული მომსახურება	231,459
პროგრამული უზრუნველყოფა და საოფისე ხარჯები	208,270
დაცვა-უსაფრთხოება	175,491
დაზღვევა	164,975
სხვა გადასახადები	132,195
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	128,924
ზოგადი საოფისე ხარჯები	75,778
სხვა	396,464
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	4,366,787

7. საშემოსავლო გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა წინა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება 2017 წლიდან არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლების პერიოდების მოგების განაწილება რეზიდენტ კომპანიაზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვარისთვის გაუნაწილებელია, ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება გადასახადით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს კომპანიამ არ გაანაწილა მოგება (დივიდენდები) და არ აღიარა მოგების გადასახადი მოგებაში ან ზარალში.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები

	საიჯარო უფლებები და გაუმჯო- ბესებები	საპორტო დანადგარები და მოწყობი- ლობები	საოფისე აღჭურ- ვილობა და ინვენტარი	სატრან- სპორტო აღჭურ- ვილობა	სხვადასხვა აღჭურ- ვილობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მთლიანი საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2017 წ.	14,529,334	32,610,819	1,402,156	957,348	483,915	318,504	50,302,076
შემოსვლები	134,535	268,625	–	–	–	157,882	561,042
გასვლები	–	(266,052)	–	–	(117,233)	–	(383,285)
არამატერიალურ აქტივებში გადატანა	–	–	–	–	–	(270,781)	(270,781)
საკუროსო სხვაობები	(336,297)	(921,100)	(29,052)	(22,047)	(14,267)	(30,630)	(1,353,393)
31 დეკემბერი, 2017 წ.	14,327,572	31,692,292	1,373,104	935,301	352,415	174,975	48,855,659
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2017 წ.	8,273,834	19,281,878	1,305,244	901,485	382,392	–	30,144,833
ცვეთა წლის განმავლობაში	903,164	956,391	50,440	17,727	39,256	–	1,966,978
გასვლები	–	(224,173)	–	–	(117,233)	–	(341,406)
საკუროსო სხვაობები	(163,094)	(553,656)	(28,532)	(20,215)	(11,604)	–	(777,101)
31 დეკემბერი, 2017 წ.	9,013,904	19,460,440	1,327,152	898,997	292,811	–	30,993,304
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2017 წ.	6,255,500	13,328,941	96,912	55,863	101,523	318,504	20,157,243
31 დეკემბერი, 2017 წ.	5,313,668	12,231,852	45,952	36,304	59,604	174,975	17,862,355

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
	ლარი	ლარი
სათადარიგო ნაწილები	980,678	1,078,700
საწვავ-საცხები მასალები	93,719	104,001
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	1,074,397	1,182,701

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
	ლარი	ლარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,712,419	1,926,518
საექვო დავალიანების რეზერვი	(564,239)	(577,598)
სულ დებიტორული დავალიანება	1,148,180	1,348,920

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-60 დღეა.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის 564,239 ლარის თავდაპირველი ღირებულების მქონე დებიტორული ანგარიშები იყო ინდივიდუალურად გაუფასურებული და სრულად დარეზერვებული (2017 წლის 1 იანვარი: 577,598 ლარი).

რეზერვის თანხაში ცვლილების შეჯერება შემდეგნაირად მოხდა:

	ინდივიდუალურად გაუფასურებული ლარი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	577,598
დარიცხვა წლის განმავლობაში	—
წმინდა საკურსო ზარალი	(13,359)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	564,239

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის ასეთია:

	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ლარი	ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული 30-60 დღე ლარი
	ლარი	ლარი	ლარი
2017	1,148,180	1,148,180	—
2016	1,348,920	1,348,920	—

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
	ლარი	ლარი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	2,488,536	1,354,039
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	1,167	11,002
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	2,489,703	1,365,041

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენდა 74,387 ლარს.

12. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 200 ლარით და მას სრულად ფლობდა საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მომსახურება ინკ. (ICTSI).

(ბ) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი გამოიყენება კომპანიის საკურსო სხვაობების აკუმულირებისთვის, როდესაც წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან.

13. მიმდინარე გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
	ლარი	ლარი
ანაზღაურებადი დღგ, წმინდა	6,822,098	3,407,653
ქონების გადასახადი	(469,883)	(497,851)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(3,715,251)	(59,620)
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,636,964	2,850,182

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
	ლარი	ლარი
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები (16.1 შენიშვნა)	3,617,714	12,140,789
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	479,387	158,138
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	137,604	–
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,234,705	12,298,927

15. ანარიცხები

	საგადასახადო ანარიცხები
	ლარი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	408,825
დარიცხვა წლის განმავლობაში	2,853,231
საკურსო სხვაობები	(239,077)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,022,979

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

16.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ტრანზაქციები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

გარიგებები და ნაშთები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან (ა)	შემოსავალი დაკავშირებული მხარეებისგან (ბ)	დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2017				
Basra gateway terminal (ა)	–	193,421	–	–
ICTSI inc.	13,521	–	–	344,812
ICTSI Georgia Corp.(ბ)	–	–	–	2,866,252
ICTSI LTD. – ROHQ(დ)	288,255	–	–	295,737
ICTSI LTD.	–	–	–	110,913
1 იანვარი, 2017 წ.				
ICTSI Georgia Corp. (ბ)	–	–	–	11,676,990
ICTS Inc.	–	–	–	351,982
ICTSI LTD. – ROHQ	–	–	–	7,482
ICTSI LTD.	–	–	–	104,335
ICTSI DR Congo (გ)	–	–	803,820	–

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ტრანზაქციები (გაგრძელება)

- (ა) Basra Gateway Terminal-მა კომპანიისგან 2017 წელს შეისყიდა ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი 151,542 ლარს შეადგენდა.
- (ბ) 2016 წელს ICTSI Georgia Corp.-ის მიმართ დავალიანება მოიცავდა შპს „Batumi Port Holdings“-თან გაფორმებული საკონცესიო ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხას 8,810,738 ლარის ოდენობით. ეს თანხა სრულად დაიფარა 2017 წელს.
- (გ) ICTSI DR Congo-მ კომპანიისგან შეისყიდა გარკვეული ძირითადი საშუალებები 2016 წელს 803,820 ლარად. ეს თანხა კომპანიამ 2017 წელს სრულად მიიღო.
- (დ) 2017 წელს ICSTI DTL ROHQ-მ პროგრამა SAP-ის დანერგვისა და ტექნიკური მომსახურება გაუწია კომპანიას 288,255 ლარად.

16.2 გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი 2017 წელს ორი პირისგან შედგებოდა. მათი მთლიანი ანაზღაურება მოიცავდა მიმდინარე ხელფასებს და პრემიებს და გაუტოლდა 533,504 ლარს. სხვა გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან არ შემდგარა.

17. პირობითი ვალდებულებები

17.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას, როგორც მოიჯარეს, ერთი მნიშვნელოვანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

კომპანიამ ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან 2007 წლის 20 სექტემბერს გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა კომპანიას იჯარით გადასცა 113,431 კვადრატული მეტრის ფართობის მიწა, მე-4, მე-5 და მე-6 ნავმისადგომებისა და მიმაგრებული უძრავი ქონების ჩათვლით 48 წლის ვადით. მთლიანი საიჯარო გადასახდელი განისაზღვრა 35,757,000 აშშ დოლარით, რომელიც გრაფიკის მიხედვით წლიური შენატანებით გადაიხდება და თანდათანობით გაიზრდება 106,000 აშშ დოლარიდან 779,000 აშშ დოლარამდე, დღ-ის გარეშე. თვითონ საიჯარო ხელშეკრულება კომპანიამ აღრიცხა ჩვეულებრივი იჯარის სახით, ხოლო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი ასახა ჩვეულებრივი იჯარის ამორტიზაციის გეგმის საფუძველზე.

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**17.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)**

სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში, წმინდა მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებასთან ერთად ასეთია:

	ბათუმის საზღვაო ნავსადგურის იჯარა ლარი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ერთი წლის განმავლობაში	1,166,171
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	7,051,551
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	66,743,084
სულ მინიმალური საიჯარო გადასახდელები	74,960,806
გამოკლებული: საიჯარო ხარჯის თანხები	(70,479,977)
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	4,480,829
2017 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით	
ერთი წლის განმავლობაში	1,538,693
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	6,341,239
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	70,089,848
სულ მინიმალური საიჯარო გადასახდელები	77,969,780
გამოკლებული: საიჯარო ხარჯის თანხები	(73,258,597)
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	4,711,183

2017 წლის განმავლობაში ჩვეულებრივ იჯარაზე დარიცხულმა საიჯარო ხარჯმა 1,682,881 ლარი შეადგინა (მე-5 შენიშვნა).

17.2 სხვა პირობითი ვალდებულებები*საქართველოს შემოსავლების სამსახურის სარჩელები*

2014 წელს კომპანიას ინსპექცია ჩაუტარა შემოსავლების სამსახურმა. ინსპექცია მოიცავდა პერიოდს 2008 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე და ეხებოდა ყველა გადასახადს. 2014 წლის დეკემბერში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გამოსცა საგადასახადო შემოწმების აქტი და კომპანიას დააკისრა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები 2,867,198 ლარის ოდენობით. კომპანია არ დაეთანხმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას და გაასაჩივრა საქართველოს შემოსავლების სამსახურში, ფინანსთა სამინისტროში და თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2015 წელს ამ თანხის ნაწილი (403,978 ლარი) გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით. დღეისათვის საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს. 2018 წლის 16 მაისს სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი და საქართველოს შემოსავლების სამსახურს დაავალა დასაკისრებელი თანხის თავიდან გამოანგარიშება. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა 2,530,000 ლარის ანარიცხები.

18. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა კომპანიის ოპერაციებისთვის.

კომპანიას აქვს სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, და ნაღდი ფული და მოკლევადიანი ანაზრები, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

კომპანიას აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.

კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაზრებიდან გამომდინარე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს დაკავშირებული და მესამე მხარეების მომცრო ნაშთებს, რომლებიც წარმოშობიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს დებიტორული ანგარიშების საბალანსო ღირებულება 1,148,180 ლარის ოდენობით (2016 წ.: 1,348,920 ლარი).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაზრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულისა და ანაზრების საბალანსო ღირებულება 2,489,703 ლარის ოდენობით (2016 წ.: 1,365,041).

18. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**(ii) სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

აშშ დოლარის კურსის დაცემის/ზრდის შემთხვევაში ლარის მიმართ, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით, მოგება ყველა გადასახადების გადახდის შემდეგ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეიცვლებოდა შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის/ლარის კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე ლარი
31 დეკემბერი, 2017 წ.	+13.50%	(196,038)
	-9.50%	137,952
1 იანვარი, 2017 წ.	+14.00%	243,050
	-7.00%	(121,525)

(iii) ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდიანების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის. ამჟამად კომპანიის არცერთი ფინანსური ვალდებულება არ არის ვადაგადაცილებული და დასაფარია სამი თვის ვადაში. კომპანიის მიზანია, ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების დროულად ამოღებითა და კრედიტორებისგან მიღებული კრედიტის გამოყენებით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 1,998,852 ლარით აღემატება. მიმდინარე აქტივების ეს უარყოფითი პოზიცია ძირითადად გამოწვეულია საგადასახადო ანარიცხების შექმნით (მე-15 შენიშვნა). კომპანია არ ეთანხმება დაკისრებულ გადასახადს და დღეისათვის სასამართლო დავაში მონაწილეობს ამ თანხის გაუქმების ან შემცირების მოთხოვნით. დავის 2017 წლის 31 დეკემბრიდან 12 თვის ვადაში, სავარაუდოდ, არ დასრულდება. იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება სასამართლო გადაწყვეტილება, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ 2018 წლისთვის მოსალოდნელი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საკმარისი იქნება მისი ყველა მიმდინარე ვალდებულების დროულად დაფარვისთვის.

18. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(iv) კაპიტალის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს აქციონერისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერს.

(v) სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით.

19. აუდიტორის გასამრჯელო

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2017 წლისთვის შეადგენს 83,108 ლარს (დღგ-ის გარეშე).